წელიწადი I-ლი | ხუთშაბათი 10 თებერვალი | ფასი 30 მან.

ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად	800 მან.
განცხადების ფასი:	
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი	50 მან.
4 „ „ „	45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.	

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პრიკაზ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 30 | ეროვნულ-დღიური დემოკრატიული ორგანო | № 30

ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების სიყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

ჯგუფი ა . . .	1 კ-ს—135 მან.	ვე-მოტ—1 კ.ს. მ	14 000 მან.
„ ბ . . .	„ — 180 მან.	„ „ 1—5 თითო	12 600 მან.
		5 . . . 15 თითოულზე	11.000 მან.

ბინებში

1 ოთახ	—50	სანთლამდე	1350 მ.	სავაჭრ. დაწ	ულიცხვ.
2 „	—100	„	—2460 მ.	1ლ—32	სანთლ.—1680 მ.
3 „	—150	„	—3300 მ.	1— 50	„ —2010 მ
4 „	—200	„	—4200 მ.	1— 100	„ —3990 მ.
5 „	—250	„	—5100 მ.	1—200	„ — 7500 მ.
6 „	—300	„	—6000 მ		

სამრეწველო ტარიფი:	მრიცხველის ქირა თვ. 400 მან
1000 კ.-ს-მდე —70 მ. კ-ს.	პროექტორის „ „ 10000 მან.
5000 „ —65 მან.	
5000 „ ზევით 60 მან.	

ასეთივე ნიხრია დაწესებული ბ. ფეფელოვის კერძო სადგურისათვისაც ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

სათანადო ზომების მისაღებათ.

51 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

განცხადება.

საზოგადოების არა მაშრომელ ნაწილისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული 1920 წ. დეკემბრის 6 სხდომის და აგრეთვე სეხალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებისა, ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი აცხადებს რომ ბათომში და მის მიდამოებში მცხოვრებნი არა მშრომელნი ელემენტები განურჩევლად ქვეშერდომობისა 18—55 წლამდე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ 1 წ. 8, 9, 10 და 11 თებერვალს დილის 10 სათიდგან—3 საათამდე დამოუკიდებლობის მოედანზე (ყოფილ აზიზიის მოედანზე) გვარდიის შტაბის შენობაში.

ზემო აღნიშნულ შრომის ბეგარის მოხდისაგან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი კატეგორიის მოქალაქენი: უმუშევრად დარჩენილნი მუშა მოსამსახურეები, უცხო მისიის მოსამსახურეები და ცნობილი პოლიტიკური რევოლიუციონური ემინგრანტები.

ის პირები რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტაციოთ თავის დროზე და გაექცევიან მობილიზაციას ჩაითვლებიან შრომის დეზერტირებათ და დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი.

55 1—2—50

კოოპერატივ

„სხივში“

გაიხსნა ფეხსაცმელების

სახელოსნო

განცხადება

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურების, წისქვილების, ქარხნების და ყველა ისეთი საწარმოვო და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა საწარმოებს შიდა წვის ძანქანებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხელი საბობი მასალა და ამიტომ ეხლავე უნდა მიიღონ ზომები მანქანების მაგარ საბობ მასალებზე გადასაკეთებლათ ან გაზით გასახურებლად თუ წინააღმდეგ ამ განკარგულებისა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მეპატრონეები ან გამგენი უარს განაცხადებენ მანქანების შეცვლა-გადაკეთებაზე, მათ საწარმოო-საარეწველო დარგები ჩაოერთმევათ და გადაეცემათ საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც დაეკისრებათ მანქანების გადაკეთებაც და ექსპლოატაციაც მანქანების გადაკეთებაში აშნიშნულ პირთ დახარჯებას გაიწევს სახელმწიფო რკინის გზაც. მთავარი სახელოსნოები მანქანების სხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით. ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილება.

46 ბათომის ქალაქის გამგეობა

განცხადება

1921 წ. თებერვლის 2 დღეს ქალ ბათომი.

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა ყველა ქალაქ ბათომის ს. მისი ოლქი მცხოვრებნი დაბადებულნი 1900 წ. და აგრეთვე სამხედრო ვალდებულნი 1897, 1898 და 1899 წ. დაბადებულნი, რომლებსაც სხვა და სხვა მიზეზის გამო, სამსახურში გაწვევის ვადა ქონდათ გაგრძელებული უნდა გამოცხადდენ ამა წლის 6 თებერვლიდგან 15 თებერვლამდე მიმღებ კომისიაში, რომელიც არის მოთავსებული ციხე სიმაგრის შტაბში სმეკალოვის ქუჩაზე სადაც იქნება მიმღები კომისიის სხდომა დილის 9 საათიდან

მიმდინარე წლის ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1 ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა ოქეველადზე მოაღნაშნულს ვადების მიხედვით გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში დათ ან იქონიონ გასაწვევი უწყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზე სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხსნის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადადებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებაში, არც სახალხო გვარდიაში, და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ ევალებათ დროზე გაუწიონ ანგარიშები ახალ გაწვეულთ.

4. 1919 წ. 20 მარტის კანონი ერთად ერთი მარჩენალთა შესახებ ეხლანდელ მორიგ გაწვევის დროს მოსპობილია.

5 ხსენებ ლი მორიგი გაწვევა არ ვრცელდება ჭართველ მუსლიმანებზედ.

6. ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან ან და გამოცხადდებიან მიიღებენ პუნქტზე 15 თებერვლის შემდეგ, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სამსახურში მიღებით.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბ. ბ. ბ. ...

განცხადება

ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს საშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობი იჯარით გაცემაზე. საველდებულოა შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში 8 საათიდან 3 საათამდე გოროდოკში.

ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგე 3—3

განცხადება

მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ბათომსა და მის ოლქში.

თანახმათ მუშებისათვის პირველ ხარისხის საგნების მიწოდების შესახებ ქ. ბათომის კერძო დაწესებულების მეპატრონეების თათბირის დადგენილებისა, რომელმაც აირჩია კომისია შემდგარი ე. მატიევიჩისა, რ. ჯავახოვისა, ი. კრასნევიჩისა, ფ. სპანდიკოვისა, და ი სულაბერიძისა შრომის კომისრის აფ. წულაძის და მუშათა მაგიდის გამგის ს. ყუფარაძის მონაწილეობით,—წანადადებას ვაძლევ ბათომის ყველა კერძო დაწესებულებათა მეპატრონეებს, რომლების მუშები არ იღებენ პურს მუშათა მაგიდიდან აასრულონ შაბათ, 12 თებერვლამდე შემდეგი:

1. წარმომადგინოს სამუშა-მოსამსახურეთა კორპორაციონის აღების უფლება ქონდეთ იმ გვარათ, როგორც მუშათა მაგიდას უდგენდენ.

2. შეიტანოს ყოველ მუშა-მობამსახურეებსე, რომელიც 25.000 მან. ნაკლებს იღებს 30.000 მან. (სამი თვის ნორმა) ამიერ კავკასიის ბანკის ბათომის განყოფილებაში შრომის კომისრის აფ. წულაძის სახელზე.

3. კვიტანცია ფულის შეტანის შესახებ სიებთან ერთად წარუდგინოს კომისარიატის სამმართველოში კომისიის მორიგ წევრს (დუნდ. კორ. № 18).

4. სიები დაიწერება ჩვეულებრივ ქაღალდზე.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბრ. ბ. ...

57 3—1

ბათომის ქალაქი 10 თებერვალი.

მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა დაამტკიცა კერძო მწარმოებელთა ახალი დაწყებულების წინასწარი მცირე დებულება.

კერძო მწარმოებელთ გადაუწყვეტიათ თავ თავიანთ დარგის მუშა მოსამსახურეთათვის დაარსონ პირველ და აუცილებელ საჭიროების საგნების მიმწოდებელი ორგანო.

ეს დაწყებულება დროული და მიზან შეწონილია.

ცნობილია, რომ მუშათა მაგიდას მეშვ ლოდათ დაწყება კერძო წარმოებათა მუშა მოსამსახურეების სურსათით დაკმაყოფილება. მუშათა მაგიდა ეს სახელმწიფოს ორგანო, რომლის დანიშნულებაც იყო უმთავრესად სახელმწიფო მუშა მოსამსახურეთა და მოხელეთა სურსათით უზრუნველყოფა, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა: კერძო მუშა მოსამსახურეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა და მათი გამოკვების დეფიციტი სახელმწიფოს დეფიციტად ხდებოდა. კერძო მწარმოებელი არავითარ მსხვერპლს არ იღებდა ამ ძნელ საქმეში და ამ რიგათ მუშათა მაგიდა გადაიქცა საქველმოქმედო დაწესებულებათა, რაც მიუღებელი ხდებოდა სახელმწიფოსთვის.

ამ მხრით საინტერესოა კერძო მწარმოებელთა განზრახვა.

დარწმუნებული ვართ, რომ კერძო მწარმოებელნი ადვილათ შესძლებენ ამ საქმის მოგვარებას „რადგან იცნობენ ბაზარს“ და იცან სურსათის შოვნა—შემოზიდვის გზებიც. სახელმწიფოსთვის ეს მეტად საჭირველია და ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით მათ განზრახვას, რომლის რეალურ განხორციელებას ისინი უკვე შესდგომიან.

თავის მხრით სახელმწიფო, მუშა მოსამსახურეთა გამოკვების საქმეში, კერძო ინიციატორთ აუცილებელ დახმარებას არ დააკლებს.

——

საქართველოს ფოსტა ტელეგრაფს ევროპაში გამგზავრებულ დეპ. ა. ჩხენკელისათვის უთხოვია დახმარება საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის საერთაშორისო საფოსტო კავშირში მიღების შესახებ. ამ ჟამად კი ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ითხოვს, რომ საქართველოს საფოსტო განყოფილება მოგვწყოს სტამბოლში.

ეს ფრიად დიდი საკითხია. ევროპის სახელმწიფოებში ჩვენ ქვეყანაზე არავითარი წარმოდგენა არ აქვთ ან თუ ოდესმე გვახსენებენ ეს ხდება სიმბურ ინფორმაციით, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის ჩამოყალიბებული.

ევროპაში ბუნდოვანათ გვიცნობენ ოფიციალი წრეები, ხოლო ხალხს, გარდა იმისა, რომ ქართველები სომხებს ყველა სჭრიანო, არაფერი სმენიათ.

რა თქმა უნდა ეს იმით აიხსნება რომ ჩვენ ევროპაში ახლა ხან და-

ვიწყეთ მუშაობა, მაგრამ ამას საგრძნობლად ხელ უწყობს საფოსტო ურთიერთობის უქონლობაც.

ფოსტა-ტელეგრაფი საუკეთესო საშვალება იქნება ამ მხრით, ფოსტა და ტელეგრაფი თავისთავად გააცნობს ჩვენს მდგომარეობას ევროპას.

წერილები, დეპეშები და გაზეთები, საქართველოდან რომ გაიგზავნებიან, ქართულ ინფორმაციის როლს ითამაშებენ ევროპაში.

რესპუბლიკამ ყველა ზომა უნდა მიიღოს საქართველოს მსოფლიო საფოსტო-სატელეგრაფო კავშირში შეყვანისათვის, ეს ადვილი იქნება მის შემდგომ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად იცვლეს და საქართველო საერთაშორისო ოჯახის თანასწორ უფლებიანი წევრი გახდა.

პასუხარა ნეოფილეგი.

(არჩევნებისათვის).

მუშათა კლასის მიერ სახელმწიფო ძალა უფლების ხელში აღების პირველ ხანებში ჩვენი ბურჟუაზია მიყუჩებული იყო.

მას „პირში ენა ჩაუვარდა", რადგან განკითხვის დღის მოლოდინში იყო.

ბურჟუაზიას ვერ წარმოედგინა, რომ ქართველი მუშა ამოდენა ლმობიერებას გამოიჩენდა თავისი მოსისხლე მტრის მიმართ.

ის ვერ იცნობდა ქართველ მუშას, რომელიც მოქმედებს არა გრძნობის კარნახით, არამედ შეგნების მიხედვით.

ბურჟუა მუშას უცქერდა როგორც კაპიტალისტურ მაშინის ერთ უენო და უსულო ვინტს.

წინეთ ამ ვინტს ის ატრიალებდა თავის სურვილისამებრ, როგორც მოეპრიანებოდა.

მან ვერ შენიშნა ქართველ-მუშის შეგნების და თვითცნობიერების საზღაპრო ზრდა.

ქართველ ღიპიანებს ეგონათ, რომ ჩვენი მუშები რუსეთის ბოგანოებს მიჰბაძავდენ:

— აიღებდენ თუ არა ხელში ძალა-უფლებას, წამოუსვამდენ ტუკს ხელს და კლასიურ მტრებს თავს გაუროფავდენ!

მარა მალე მიხვდენ, რომ ქართველი მშრომელი დემოკრატიის გზა არსებითად განსხვავდებოდა რუსეთის მუშების გზისაგან.

ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ მუშათა კლასის მიერ მოქალაქეობის კლასიური არსებობის ლოკალიზაციის საკითხი ლიდიესი ტაქტიკური საკითხია და ამ გარეგნობით მან სარგებლობაც მოისურვა!

ის თანდათან განთავისუფლდა შიშისაგან და პირი სიცოცხლისაკენ მოიბრუნა.

ეს კლასი მხოლოთ წინეთ იყო მებრძოლი და გამბედავი.

მაშინ მას რევოლიუციონურ სულს უკარნახებდა მისი ეკონომიური პირობები.

ბურჟუაზია რევოლიუციონერობდა ერთ დროს იმიტომ, რომ გადაელახა ფეოდალიზმი, რომელიც მისი მახრჩობელა იყო.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა.

ეხლა კაპიტალიზმი ნორჩი და სუსტი ეკონომიური ფაქტორი კი არ არის.

კაპიტალიზმის უმწვერვალესად განვითარებამ გაანელა ბურჟუაზიის ოპოზიციონური სული და ნებივრობის შეაჩვია იგი.

დღეს მან უღალატა „ტრადიციას" და ასე იქცევა:

— თუ ძალას ხედავს, —მიყუჩებულია, ცახცახებს და ეშინია „პირდაპირი საფრთხის!"

მაგრამ თუ დარწმუნდა, რომ მის ფიზიკურ არსებობას არავითარი „საფრთხე" არ მოელის, — მაშინ —

— „კაი ბიჭობას" იჩენს!

ასე დაკნინდა დაციერის „რიჟას", დაემგზავსა ეს ოდესღაც რევოლიუციონური კლასი.

შიშიანობის ფსიხოზის განვლის შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ მახვილით თავის წაგდება არ მოელოდა, — ქართველი ბურჟუაზია ლაიბღუზა და განზე გადგა:

— მან „საყვედურებიც" დაიწყო!

ჯერ ის საყვედურობდა ჩუმათ, თავისთვის, შემდეგ თანდათან გაბედულ მამდა და საჯაროთაც გაბედა უკმაყოფილების გამოცხადება.

ბურჟუაზიამ მედიდურათ და თავაშვებულათ შეიტანა იჭვი მშრომელი დემოკრატიის ხელმწიფოებრივ მუშაობაში.

— „მუშებს არა აქვთ გამოცდილება"!..

— „არ ყავთ ნასწავლი ხალხი"!..

— „მუშათა კლასს არ სურს გამოიყენოს ჩვენი ცოდნა — გამოცდილება"!..

აი ის საყვედურები, რომლებითაც მიმართავდენ სახელმწიფო საქმიანობაში ჩაბმულ მუშებს და მათ ინტელიგენციას განზე გამდგარი და გაბღუზული ქართველი ღიპიანები.

მათ ძალიან კარგათ გაიცნეს უკანასკნელ ხანებში ქართველი მუშები, დაინახეს მათი შეგნება და კარგათაც მიხვდნენ, რომ ის სახელმწიფო, რომლის აშენებას ქართველი მუშა შეუდგა, ბურჟუაზიას ვერ დააკმაყოფილებდა...

ამ გზით, თავისი „გამოცდილების" სახელმწიფოს ნავზე მიხვევით, ეს გაიძვერა დიპლომატები განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდენ — „Не мытьем, так катанем"!

მწარმოებელთა ჯგუფებს სწყუროდათ სახელმწიფო დარგებში თავისი გავლენის განმტკიცება და კომბინაციების საშვალებით ხალხის ქონების ერთი ნაწილის ჩამოგლეჯა.

ბურჟუაზია ვაიძახის, რომ ის — „მდიდარია ცოდნით და გამოცდილებით"!

ეს მართლაც უდაო ჭეშმარიტება გახლავთ!

მაგრამ აქ ერთი კითხვა იბადება, მეტად საინტერესო და დამახასიათებელი:

— რა ხასიათის არის ეს „ცოდნა" რა მიზანს ემსახურება ბურჟუაზიის „გამოცდილება"!

ცოდნის მოხმარა ხომ ორნაირი მიზნით შეიძლება:

მას შეუძლია ემსახუროს ბოროტებასაც და ეშმარიტებასაც.

გაიხსენეთ ძველი რუსეთის სასჯელის სამართლის უდიდესი საქმე

— ინჟენერი გილენბუჩი!

ამ „ცოდნით აღჭურვილმა" სწავლულმა დანაშაულის მისაფუჩეჩებლათ მოჰკვლია ადამიანი და ჩაკეტილ ოთახში ქიმიურად აოროთქვა და სრულიად მოსპო სხეულის ყოველგვარი ნიშანი!

აქედან საერთო დასკვნის გამოტანა შეიძლება:

— სწავლა და ცოდნა ყველას ხელში რაღა ხალხისთვის სასარგებლო!

ხშირათ ის ხალხის საწინააღმდეგოდ უსაშინელესი იარაღია.

ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელსაც „საქართველოს დემოკრატიულ პარტიაში" მოუკალათებია, — თავისი ცოდნით და სწავლით მოვაბეზრებთ თავს არჩევნების დროს.

ამრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ მთელი მათი ინტელექტუალური და ქონებრივი ავლადიდება ხალხის ზურგიდან უკანასკნელი საქალაქნეს ასაგლეჯათ არის მიმართული

მაგალითები?

ყოველ დღე, ყოველ ფეხის გადადგმაზე, ქალაქში და სოფელში, ქარხნებში, მაღაზიებში და ბანკებში, თქვენ ხედავთ ამის მაგალითებს —

ჩვენი ზურგიდან ბართლაც რომ „უკანასკნელი ქალამნის" აგლეჯის პროცესს!

და ამ „ჟამის დროს უსირცხვილო ქეიფს" და უსაბრალოობას „ხალხის სასარგებლო ღვაწლათ" ასაღებებ!

უტიფარი ცინიკები!

ფხიკადონელი.

სევრის ზავი.

ანტანტამ ოსმალეთის და საერთოდ ალმოსავლეთის საკითხში სრული უძლურება გამოამჟღავნა

ანტანტამ ყველა მისდა სასარგებლო ფრონტიდან უკან დაიხია.

და ახლა უკვე სევრის ზავის გადასინჯვას იწყებს, რომელიც ფაქტიურად ოსმალეთის იმპერიის ლიკვიდაციას ნიშნავდა...

ეს კიდევ ცოტაა.

მოკავშირეებმა ამ ზავის გადასინჯავ კონფერენციაზე მოიწვიეს ოსმალნი და ბერძნები

ეს ფაქტი სრულიად ახალ მდგომარეობას ქმნის ახლო აღმოსავლეთში.

გასამართლებულია ოსმალეთი „სასჯელითა" შემსუბუქების წინაშე სდგას.

ანტანტი ისევ აჩუქებს სიცოცხლეს ავადმყოფ კაცს.

სხვა საყურადღებო მომენტიც არის სევრის ზავის გადასინჯვაში.

მოკავშირეებმა პარიზში „თავის ერთგული" სტამბოლის მთავრობა კი არ დაიბარეს, არამედ ანგორის ქემალი.

რაშია საქმე?

ევროპა ანგარიში სტყუვდება?

პირიქით, ევროპა უაღრესად რეალისტობს.

მოკავშირეთა თვალში ფაქტიურ ძალას ამ ჟამად ქემალი იჩენს, რომელსაც ევროპის დასაფრთხობათ „მეგობრობა" აქვს საბჭოთა რუსეთთან.

ევროპა ქემალისგან ალბათ უმთავრეს კონპენსაციად ბოლშევიკებთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვს.

ქემალი მოითხოვს სომხეთის საკითხის ლიკვიდაციამდე მიყვანას, ანგორის მთავრობის აღიარებას და სტამბოლის ანგორის მთავრობასთან გაერთიანებას.

სევრის ზავის გადასინჯვაში ასეთი მოსალოდნელობანი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენ.

ამ ზავით უაღრესად არიან დაინტერესებულნი სომხები, რადგან კვლავ სწამთ, რომ ევროპა მათ სოციალიზაციის შემდგომაც უშველის, რუსები ელიან ქემალის გამოთხოვებას, ხალხი ოსმალნი კი ფატალურად ელიან გამარჯვებას.

ახლო მომავალი დაგვანახვებს თუ ვის უფრო გაახარებს პარიზის კონფერენცია. ჩვენ არ გვინდა ვაიმეარა ასიამოვნოს ვიწინასწარმეტყველოთ მეზობლებისთვის, მაგრამ ჩვენა გვგონია რომ ყველაზე დიდ მარკხს სევრის ზავიდან რუსეთი და სომხეთი გამოეღვიძის.

ი. იმერელი.

ჩაკი ზღვის რადიო.

(ბოლშ. ცნობ.)

გაზ. „ერთობა". ოფიციოზი საქართველოისა, ამბობს, რომ აზერბაიჯანის კომუნისტური პრესა ირწმუნება საქართველოს იმ ცდ ზე, რომ ითქოს საქართველოს განზრახვა ჰქონდეს თავის საზღვრებში შემოიყვანოს ანტატის ჯარები და მერე თავს დაესხას აზერბაიჯანს, ჩრდილოკავკასიას და სხ. «ერთობა» ამტკიცებს რომ ჯერ საქართველოს თავისი თავის დასაცავად არ მიუმართავს უცხო ძალისთვის და თუ კი მას დეეცემიან, მაშინ არ შეჩერდება (გამოშვებულია უშლიდა ამერიკული რადიო): მაშინ პასუხის მგებლობა მას დეეკისრება, ვინც საქართველოს გადაყლაპვის მოინდომებს.

— ალეპოს რაიონში ქემალის ჯარმა გაიმარჯვა.

— სომხეთს ახალი ნოტა გაუგზავნია (4 თებ.) მოსკოვისთვის რომელშიც სჩივის, რომ სომხეთის მდგომარეობა აუტანელია. კარაკლისში ოსმალთა მიერ გაუქმებულია რევკომი, სომხის ერს სიყვარული უღვივის ქართველთა და ოსმალთა მიმართ, მაგრამ ისინი აგრესივობას ამჟღავნებენ. სომხები იმედოვნებენ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ზომებს მიიღებენ.

— სტამბოლის გაზეთები მოწოდებებს სტამბავენ, რომ დადგა დროა ოსმალეთის მთავრობები უნდა გაერთიანდენ.

— სამსუნის რაიონში აჯანყდენ ბერძნები და აფხაზები (?), აჯანყებულებს ხელს უწყობენ სომხები და საერთოდ ქრისტიანები.

უკანასკნელი საათი.

თბილისის პრესის ცნობით ლენინის ავტომობილს თავს დეეცენ. ლენინი გადარჩა, მხოლოდ დაიღუბა 8 კაცი.

— საბჭოთა მთავრობა მოსკოვიდან პეტერბურგს მოდის.

— უკრაინაში ბოლშევიკების წინააღმდეგ ამბოხებანი გრძელდება.

სტამბოლის ცნობები.

— ხმა გავრცელდა, რომ ქემალ ფაშამ და საბერძნეთის წარმომადგენელმა დროებითი ზავს ხელი მოაწერესო.

— ქემალ ფაშას განუცხადებია რომ საბერძნეთთან ომი განახლდებაო.

— ოსმალების აზრით სევრის ზავიდან სომხებს მხოლოდ ოსმალეთის ფარგლებში საავტონომიო კონპესაციები უნდა მიეცეთ.

— რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთ დაუდგენია, გამოაცხადონ ახალი რუსეთის მთავრობა.

ახალი ამბები.

— საფრანგეთის მისიის შეურაცყოფისთვის. სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაპატიმრებული არი ნ პოლკოვნიკი ჟურული, ექიმი ლომინაძე და სანიტარი ლორთქიფანიძე საფრანგეთის მისსიის წევრების შეურაცყოფისთვის. სწარმოებს სასტიკი გამოძიება დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად.

— მწერალ მელანიას გარდაცვალება. 4 თებერვალს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი — ბოლეტრისტი მელანია (ნიკოლოზ გიორგის ძე ნათაძე).

— მწერალთა კავშირის გამოცემა. მწერალთა კავშირი კიდევ მოაგროვებს ... ოებურ ... „სიტყვა ქართული" მასალები ... ჭიროა საჩქაროდ გაიგზავნოს. მწერლებს, რომელნიც მოათავსეს ... ნაწარმოებს ... მიეცემად ... ულ ნაწარმ ... ებში ერთ გვერ 500 მანეთი, ლექსში (ერთი გვ ... დი) 1000 მანეთი.

— ნავთის საქმე. ... ტერიტორიაზე ნავთის ... სპეციალისტებმა სახაზინო ... გზების და სამთო-მადნო ... ლოს მონაწილეობით უკვე დაიწ ...

— რესპუბლიკაში აღიძრა საკ ... ხი „დე იურეს" ძეგლის აგების ... სახებ.

— ნოე ჟორდანიას, ქართულ ... გერბის და თბილისელ კინტ ... ბიუსტები. რუსეთიდან ზაქარია მდ ... ნის ასული, 17 წლისა, ამ ... ამზადებს ნოე ჟორდანიას, ქართულ ... ლერბის და თბილისელ კინტ ... ბიუსტებს. უცხოელებს, რომელ ... ნახეს ... ბეტად, მოსწონებ ... ხსენებული ბიუსტები და ... დამზადების შემდეგ მათი მიყიდ ...

— ნინა ზაქარია მდივანის ასულ ... ამ მოკლე დროში ... ულ ... ... გამოსცემს თავის ლექსთა კრებულ ...

— ჯუმათიდან ბათომის ბაზარ ... შემოუტანიათ და გაუყიდიათ ... დასი კამჩის ხორცი.

— ქალთა წრეს ... ამ რამდენ ... თვის წინად ნება დართეს ... ლოტო ... ...

თბილისი.

— ერთობათა კავშირის საგამმ-ეგმლო მოლვაწეობა. ერთობათა კავ-ირის გამგეობა ამ ჟამად შემდეგ ოგნებსა სცემს: ს. კონის-სტატის-ტიკას, „საქართველოს მელიორა-ციას“, ა. ესსენისა. განზრახულია ამოსაცემად: შექსპირის ტრაგედიები ნაბელის თარგმანით, „სიკვდილი და ოცოცხლე“ (გამოკვლევანი) ცეცლაძისა, „ეკონომიური გეოგრაფია“ პროფ. გეხტმანისა, „ქართული ანაზები“ მეტრეველისა და „საქარ-ველოს კონსტიტუცია“ პ. საყვა-ელიძისა.

— აგრარული რეფორმა. ცხოვრება ი აგრარულ რეფორმის გატარების აჩქარების მიზნით ტფილისში არ-დება სამოქალაქო მიწის მზომელ-ა ინსტიტუტი, რომელშიაც შეუ-ლია შესვლა ყველას ვისაც კი სა-ალო განათლება ექნება მიღებუ-ი. სამოქალაქო მიწის მზომელებმა ესპუბლიკის მიწის მზომელთა ოფ. კავშირთან საგანგებო სექ-ია უნდა დაარსონ.

— თავდაცვის ფონდის სასარგებ-ოდ. საქართველოს დამოუკიდებ-ობის ფონდის გასაძლიერებლად. ორგ ქართული კლუბის მამასახ-ისთა საბჭომ დიმიტრი დუმბაძის ავმჯდომარეობით დაადგინა საქარ-ველოს დამოუკიდებლობის იური-ულ ცნობის აღსანიშნავად გა-იიდოს 100.000 მან. (ასი ათასი მან.) ეს თანხა ჩვენით გადგზავნოს თავრობის თავმჯდომარეს, გაიმარ-ოს ბანკეტი აღნიშნულ დიდებული

აღსანიშნავად, ნებართვა ამოეთხოვოს შინაგან საქმეთა მი-ისტრს, გაიმართოს სალამოს ფრონ-ის სასარგებლოდ და მთელი შე-ავალი გადაეცეს ფრონტის დამხ-ვ მთავარ კომიტეტს.

— რკინის გზის აქმე. საქართვე-ლოს რკ ვზის ინჟინრები ბ-ნი ოდიშელიძე და კენგე, რომელნიც მთავრობის მიერ გაგზავნილ იყვნენ საზღვარ გარეთ რკინის გზის სხვა და სხვა მასალის შესაძენად, უკვე ტფილისში ჩამოვიდენ.

ამერიკა და საქართველო

(კერძო წერილიდან)

ბათომის ოლქის ჯარების სარდა-ლს გენერალ ზაქარია მდივანს და მის მეუღლეს ამერიკიდან პირად მე-გობართაგან მოუვიდათ წერილები და იქაური გაზეთები, რომლებშიდაც ჰოთავსებულია წერილები საქართვე-ლოს შესახებ. გენ. მდივანის ორი ვაჟი, რომლებიც გასულ წლის ზაფ-ხულს წავიდენ ამერიკაში, შემდეგს სწერენ მშობლებს: „ჩვენ ვმუშაობთ ახლანდელ ამერიკის პრეზიდენტის ჰარდინგის საფულე ქალაქების და მშზადებელ ფაბრიკაში, ვმუშაობთ დღეში 16 საათს. თვეში გვაძლეენ 30 დოლარამდე, დიდათ გაკვირვებუ-ლი არიან ამერიკელები, რომ გენ-ერალმა თავის შვილები ასეთ მუ-შაობათ გამოგზავნა. საქართველოს შესახებ აქ არაფერი არ იციან, ჩვენ რომ ჩავედით აქ ჟურნალისტებმა მრავალი ინტერვიუ გაგვიკეთეს და არ სჯეროდათ ის, რასაც ჩვენ საქარ-თველოზე ვეუბნებოდით, რადგან აქ კავკასიაზე მხოლოდ სომხური ინფო-რმაცია არსებობს და მას აქვს გასა-ვალი.

ამ საქართველო ახალი აღმოჩენა იყო მათთვის, რადგან ამერიკაში არ სებობს ერთი პატარა კუთხე რო-მელსაც ჯორჯია ჰქვია.

ჩვენ რუსი გენერლის შვილებათ მიგვიღეს, რის გამოც პროტესტი განვაცხადეთ, ბოლოს როცა გაიგეს თუ რა განსხვავებაა რუსეთსა და საქართველოს შორის მეტად დაინტე-რესდენ.

იქაური რვა პოპულიარული გაზეთ-ში დაბეჭდა ჩვენი ინტერვიუ და საქართველოს შესახებ ცნობები, აღ წერილი იყო თბილისის ცხოვრება მ.ი ჯესრიგი და საქართველოს სა-ხელმწიფოს მდგომარეობა. საქართ-ველოს შესახებ გაზეთებს საუკეთეს-ო და სწორი ინფორმაცია მისცა ბ- მისტერ კრაინმა. იგი ახასიათებ და ქართველებს როგორც იშვიათ ლამაზ ხალხს ტან მარდთ, რაინდე-ბს და უდიდეს სტუმარ—მოყვარეთ

კაპიტანი მოსტერ კრაინი მუშაო-ბდა ადმოსავლეთში სომხეთის დამხ-მარე კომიტეტში, რომლის ანგარი-შების წარმოდგენის დროს ამბობს, სომხები მუხანათურად სტყუიან, რო-ცა ამბობენ, რომ ქართველები მა-თავს ესხმიან და ჟლეტენ. კაპიტან მისტერ კრაინის სიტყვით პირიქით ქართველები ყოველ მხრით ხელს უწყობენ სომხებს და მრავალი ასი ათასი სომეხი იფარებს თავს საქართ-ველოს კალთებს.

კაპიტანმა მისტერ კრაინმა წასვ-ლის დროს წერილი მისწერა მთავ-რობის თავმჯდომარის მეუღლეს ქ ნ ჟორდანიას, რაც მან გამოაქვეყ-ნა ამერიკულ გაზეთებში. აქ მის-ტერ კრაინს თავის საკუთრებაში აქვს მთელი ქალაქი, სადაც მუშაო-ბენ ფულის ქალალდის დამზადებელ-ი ფაბრიკები.

ამერიკაში უკიდურესი სატიტუ-ლო არის ტურატიზმი. ამ ჟამად ძალიანდერეები სანთლით ეძებენ ტიტულის მქონე სასიძოს.

„კნიაზი“ თუ არის მას არც სწავ-ლა უნდა არც ტანადობა და მდგო-მარეობა ისე მიჰყვებიან მდიდრის ქალები.

საქართველოზე არავითარი ინფო-რმაცია არ იშოვება აქ ისტამბები ჩვენთვის გულის მომკვლელი ცნო-ბები, ამას წინად დაიბეჭდა ცნობა რომ ბათომი ბოლშევიკებმა აიღესო შემდეგ საქართველომ მოაგროვა დი-დი ჯარი და სომხეთს იპყრობსო.

საქართველოს გარშემო.

არგენტინის პრესა.

არგენტინა, რომელმაც დასავლე-თის ქვეყნებს-შორის პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა de iure, ჩვენი ქვეყნის მი-მართ დიდ ინტერესს იჩენს. არ-გენტინის პრესამ გადაბეჭდა ის გან-ცხადებანი, რომელიც გაუკეთა საქა-ართველოს საგარეო საქმეთა მინისტ-რმა ე. პ. გეგეჭკორმა საფრანგეთის პრესას და აგრედვე საქართველოს ფინანსთა მინისტრ კ. პ. კანდელაკ-თან გაკეთებული ინტერვიუ. არგენ-ტინის გაზეთები საქართველოს ეკო-ნომიურ მდგომარეობის შესახებ ცნო-ბებს რეგულიარულად ათავსებენ

შვეიცარიის პრესა.

შვეიცარიის პრესა, შვეიცარიასა და ამიერ-კავკასიის და კერძოთ შვე-იცარიასა და საქართველოს შორის შესაძლებელ ეკონომიურ დამოკიდე-ბულების მიმართ დიდ ინტერესს იჩენს „Mercur Suisse“ ერთ-ერთ-ი ფაანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ყოფილ მოსკოვის პროფესორის ველ-ტერის დასურათებული წერილი, ეკო-ნომიური კავკასიის“ სათაურით. წე-რილს თან დართული აქვს დიაგრა-მები და ილიუსტრაციები. ეს წერი-ლის დასკვნა: „ყველა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც რუსეთს იმპე-რიის შემადგენლობაში შედიოდენ, კავკასიას უბრწყინვალესი მომავალი მოელოს. ეს მხარე იზიდავს უცხო-ელებს, როგორც თავის სიმდიდრით, აგრეთვე თავის ბუნების სილამაზით. კავკასიის ხალხთა შორის ქართველ-მა ხალხმა რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ყველაზე უფრო მეტი პო-ლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა. ამ ხალხის მეთაური არის შვეიცარიის მეგობარი ნ. ჟორდანია, ჟენევის უნიკერსიტეტის ყოფილი მსმენელი. კავკასიაში მცხოვრებ ერებს აქვთ რაღაც საერთო შვეიცარიის ხალხ-თან. მათ შვეიცარიასთან ახლოვებს თავისუფლებისადმი სიყვარული, ვაჟ-კაცობა და სიმტკიცე იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი დამჩაგვრელთა წი-ნააღმდეგ აწარმოებენ. ეს ერები სი-ხარულით შეხვდებიან ევროპის ერთ ერთ უძველეს შვეიცარიის დემოკ-რატიის მხრით აღმოჩენილ დახმა-რებას, რომელიც მიმართული იქნე-ბა ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავების განვითარების სასარგებ-ლოთ“.

„დეიერეს“ დღესასწაული თბილისში.

მთავრობის თავმჯდომრის სიტყვა.

პირველად ხალხს დღესასწაული მიულოცა ნ. ჟორდანიამ, რომლის გამოსვლას მხურვალე და ერთსუ-ლოვანი ტაშით შეხვდა მრავალ რი-ცხოვანი მიტინგი, მის სიტყვებს ფარავდა ტაში და ვაშას ძახილი. სხვათა შორის სთქვა: „ჩვენი სახელ-მწიფო აღიარებულ იქმნა რუსეთის მიერ, შემდეგ ის იცვნეს ევროპის სოციალისტურმა კონგრესებმა და

დგომარეობა ისპანიაში*).

თუმცა ისპანია კონსტიტუციო-ურ სახელმწიფოთ ითვლება, მაგ-რამ ეს ასე არ არის. მცირეოდენ ამონაკლისს გარდა ამ სახელმწიფო ი არ ყოფილა კონსტიტუციონუ-ი მთავრობა. ამ ნაციის მთავრობე-ი ხდგებოდენ მეფის სასახლის ისტოკრატიის ან არმიის ხელმძღ-ანელობა და ოფიცერთა სურვილ-ის:მებრ.

ეს ასე ხდება ახლაც, მიუხედა-ათ იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ XX საუკუნეში, ევროპაში ბევრი ახტები დაიმსხვრა და შეიქმნა ბევ-ი სოციალისტური რესპუბლიკები. თუ საყოველთაოდ გავრცელებუ-ი აზრი, რომ პარლამენტები სწო-ათ გამოხატავენ ხალხის ნება-სურ-ილს, თავის მოტყუებაა, ისპანიაზე ე მით უფრო ითქმება. იქ პარლა-ენტი ყოველთვის სითია, როგო-ც სურს მთავრობას, რადგან ის ია მარტო ამას ცდილობს, რომ ვის უმრავლესობა შექმნას პარ-ამენტში, არამედ იმასაც, რომ ბრბიციონურმა ჯგუფებმა პარლა-ენტში მთავრობისათვის სასურველ ადილების რაოდენობა იქონიონ ალშფოთებას იწვევს, როგორც ესპუბლიკანურ, ისე სოციალის ურ პარტიებში.

თავისთავად ცხადია, რომ ამნაი-ად შექმნილი ისპანიის პარლამენ-ი ოსებობა მეტად ხანმოკლეა.

ონსტიტუციის გამოქვეყნების

*) ეს წერილი იკუთვნის ისპანიის ოციალისტური პარტიის ერთ-ერთ-ი ბაარსებელს, მის ბელადს პაბლი-ვიერესს.

დღიდან (რომელიც კამომუშავებული იყო 1876 წ.) მხოლოდ ერთმა პარ-ლამენტმა იარსება ნორმალური დრო (5 წელს). 1910 წლიდან 1920 წლის 19 დეკემბრამდი ისპა-ნიაში იყო 5 პარლამენტი. მეორე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ ფეხქვეშ იოელება კონსტი-ტუცია არის ის რომ, ისპანიის მთავრობები, როგორც კონსერვატი-ული ისე ლიბერალური, არავითარ ანგარიშს არ უწევენ მოქალაქეთა პირად უფლებებს მთავრობები ხში-რად აჩერებდენ. ამ უფლებების უზრუნ-ველმყოფელ კონსტიტუციონურ გა-რანტიების მოქმედებას.

ამ ძალადობის ცხოვრებაში გასატარებლად ისპანიის მთავრობა არ ეძებს სერიოზულ საფუძვლებს. ამისათვის საკმაოა, რამოდენიმე, მცირე მნიშვნელოვანი გაფიცვა. თუმცა ისპანიას არ მიუღია მონაწი-ლეობა საძაგელ მსოფლიო ომში, რომელმაც მილიონობით იმსხვერპ-ლა ადამიანთა სიცოცხლე, მაგრამ ისპანიის მთავრობამ შეაჩერა კონს-ტიტუციონურ გარანტიების მოქმე-დება. მართალია ომის გათავების შემდეგ კონსტიტუცია აღდგენილი იქმნა, მაგრამ ეს დიდხანს არ ვაგრ-ძელებულა, ორი წლის შემდეგ კვლავ შეაჩერეს მისი მოქმედება და კონსტიტუცია დღემდისაც არ არის აღდგენილი. ამის სანაცვლ მთავრობას მისცა მუშათა მოძრაობამ, რო-მელიც გამოიწვია ცხოვრების გაძ-ვირებამ.

თუ კონსტიტუცია მაინც არსებ-ებობს, (როგორც იყო ნათქვამი ზევით ქალალდზე) მთავრობა და მი-ნისტრები ხშირად გამოდიან კონსტიტუციით განსაზღვრული ჩარ-ჩოებიდან. ყოველ წუთში ხდება ძა-ლადობა, რომლის მსხვერპლათ ხდე-ბიან რასაკვირველია არა ბურჟუები არამედ მუშები.

ამის შემდეგ არავის არ გააკვირ-ვებს ის გარემოება, რომ ისპანიაში არ არის ნამდვილი პოლიტიკური პარტიები, არის მხოლოდ ოლიგარ-ხიული კავშირები, რომელთა ერთად ერთი მიზანია—ძალა-უფლების ხელ-ში ჩაგდება.

გარდა რესპუბლიკანურ, რომელ-ში ახლა ეანხეთქილება ბოხდა და სოციალისტურ პარტიებისა, დანარ-ჩენი პოლიტიკური ელემენტები არ შეიძლება პარტიებათ ჩაითვალოს, თუმცა ისინი თავს თავს პარტიებს უწოდებენ.

კონსერვატორები გაყოფილია სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფის მეთაუ-რია დაატო, მეორესი—მაურა, მე-სამეს ხელმძღვანელობს ციერვა. ამ-ი უკანასკნელი პოლიტიკური მოღვაწე ხელმძღვანელობდა მუშების ბარბა-როსულ დევნას, რაიც გამოიწვია ისპ ნიის მთავრობის მიერ მაროკოში დაწყებულ ავანტიურის გამო. გამოტ-ანილმა პროტესტმა ეს დევნა დამ-თავრდა მრავალ ამხანაგების მოკ-ვლით, რომელთა შორის იყო ფ ერ ა რ ა, რომელსაც მიაწერეს ამ მოძრაობის ხელმძღვანელობა. თუ კონსერვატორები სამ ჯგუფად იყო-ფა ლიბერალები ოთხ ბანაკად არიან გაყოფილნი. ერთ ამ ჯგუფთაგან ხელმძღვანელობს ბრაფი რომანონო-ზი; მეორეს გარკია პრიეტო; მესა-მეს—სანტ იაგო ალბა და მეოთხეს —მელკიადეს ალვარეცი. ეს უ ა-ნასკნელი ჯგუფი გამოეყო რესპუბ-ლიკანურ ჯგუფს და რომ დამალოს ოაგისი მოღალატეობა, თავის პროგ-რამას აშენებს მონარქიის დემოკრა-ტიზაციაზე.

ფაქტიურად, დარწმუნებული უნ-და ვიყოთ, რომ არავითარი განსხვა-ვება კონსერვატორებსა და ლიბერა-ლებს შორის არ არის ძალადობის ხმარაში და საეჭვო საშალებებისა-თვის მიმართვაში—ისინი ერთნაირი არიან. თავის თავად ცხადია, რომ თუ რომელიმე იმათგანი ძალა-უფ-ლებას ჩაიგდებდა ხელში, განახორ-ციელებდა და დაიცავდა კაპიტალი-ლისტთა ინტერესებს, რომლებსაც ისინი ემსახურებიან.

თუ კონსერვატორები ან ლიბე-რალები თავს ნონარქისტებს უწო-დებენ, მათ მონარქიზმში არავითარი პატიოსანური არ არის. უნდა უყუ-რით მათ, როცა მეფის მოქმედება მათ ზრახვებს წინ გადაუდგება ანტი მონარქისტები მათზე უარესს ვერას იტყვიან. მაგრამ, როცა ძალა უფ-ლება მათ ხელშია, მაშინაც ცუდათ იხსენიებენ ალფონს XIII—ს. ეი მა-გალითად, მეფის ახლობელმა, აწ უკვე გარდაცვლილმა მინისტრთა თავმჯდომარემ ჰკითხა პორტუგალიის წარმომადგენელს, რომელიც რამო-დენიმე წუთის წინ მეფეს ესაუბრებო-და, რა შეხებეჭდილება დასტოვა მასზე უკანასკნელმა. „ძლიერ კარგიო“, უპასუხა დიპლომატმა. „ოჰ, რას ამბობთ თქვენ“, თქვა მინისტრმა,— „მე თქვენ გიამბობთ თუ რას წარ-მოადგენს ის“.

მე მინდა დაუმატო, რომ ალფონს XIII-მ სამართლიანად დაიმსახურა თავის გამოჩენილ ბელადების ასეთი ბულების მიმართ დიდ ინტერესს იჩენს „Mercur Suisse“ ერთ-ერ-თ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ყოფილ მოსკოვის პროფესორის ველ-ტერის დასურათებული წერილი, ეკო-ნომიური კავკასიის“ სათაურით. წე-რილს თან დართული აქვს დიაგრა-მები და ილიუსტრაციები. ეს წერი-ლის დასკვნა: „ყველა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც რუსეთს იმპე-რიის შემადგენლობაში შედიოდენ, კავკასიას უბრწყინვალესი მომავალი მოელოს. ეს მხარე იზიდავს უცხო-ელებს, როგორც თავის სიმდიდრით, აგრეთვე თავის ბუნების სილამაზით. კავკასიის ხალხთა შორის ქართველ-მა ხალხმა რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ყველაზე უფრო მეტი პო-ლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა. ამ ხალხის მეთაური არის შვეიცარიის მეგობარი ნ. ჟორდანია, ჟენევის უნიკერსიტეტის ყოფილი მსმენელი. კავკასიაში მცხოვრებ ერებს აქვთ რაღაც საერთო შვეიცარიის ხალხ-თან. მათ შვეიცარიასთან ახლოვებს თავისუფლებისადმი სიყვარული, ვაჟ-კაცობა და სიმტკიცე იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი დამჩაგვრელთა წი-ნააღმდეგ აწარმოებენ. ეს ერები სი-ხარულით შეხვდებიან ევროპის ერთ ერთ უძველეს შვეიცარიის დემოკ-რატიის მხრით აღმოჩენილ დახმა-რებას, რომელიც მიმართული იქნე-ბა ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავების განვითარების სასარგებ-ლოთ“.

სიყვარული: ის მაინც და მაინც არ აფასებს კონსტიტუციას მას შემდეგ, რაც ის იძულებული გახდა ბევრ-ჯერ დაეთმო ოფიცერთა და ჯარის ხელმძღვანელია მოთხოვნილებები-სათვის.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ როგორი სულისკვეთება იყო ესპა-ნიაში, ომის მიერ გამოწვეულ მძიმე პირობებში, რომლებიც მოითხოვ-დენ, რომ მართვა-გამგეობა ყოფი-ლიყო გამჭრიახ და გამოცდილ პი-რების ხელში, საკმაოა შეიუთითოთ, რომ ალფონს XIII-მ უკანასკნელი პოლიტიკური კრიზისის დროს, მთავრობის შესადგენათ მოიწვია დატო, კონსერვატორების ბელადი. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ დატოს მისცა პარლამენტის გაშვების უფ-ლება, არა ჩვეულებრივ წესით, არამედ ერთ ისპანელ კრეზის მა-მულში მეფის პატივსაცემად გამარ-თულ დღესასწაულის გამო.

მიუხედავათ ალფონს XIII არა ჩვეულებრივ საქციელისა, რომელმაც ალშფოთება გამოიწვია, მთავრობის მდგომარეობა ჯერ ჯერობით ძნ-ელია. ამ მთავრობის მთავარი მიდრეკილება—რეაქციონერობაა; მთავ-რობის (პარლამენტის?) არჩევნების დროს ის თავის ინტერესებს ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებს; შემ-დეგ ის დიდი სიმპატიებით ეპყრო-ბა მქონებელთა კლასს, რომელთა-ც მას გარდა საქმიანისა, მეკობ-რული დამოკიდებულებაც აქვს.

(დასასრული ხვალ)

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
იყიდება
დაწმენდილ დაცდილი ბოთლები
იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL"
და სხვადასხვა ღვინოები მაღალი ღირსებისა
საგაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

შემდეგ კი ევროპის სახელმწიფოებმა; აქედან ოქვენ ხედავთ, რომ ჩვენს საკენში ყველანი შეერთდნენ. ცხადია, ჩვენ მივდიოდით სწორი გზით, არ გაგვიკეთებია ისეთი შეცდომები, რომელსაც შეეძლოს საფრთხეში ჩაგდება ჩვენი სახელმწიფოსი. აი ამ ნაყოფს ჩვენი მუშაობისა ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს. მოგილოცავთ ამ დღესასწაულს და გისურვებთ არ გადასცდენოდეთ იმ სწორ გზას, რომლითაც დღემდე მიდიოდით. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს. (კვლავ ტაში და ვაშას ძახილი).

ალ. ლომთათიძის სიტყვა.

შემდეგ დამფუძნებელი კრების სახელით ლაპარაკობს ალ. ლომთათიძე, რომლის გამოსვლასაც მიტინგი ძლიერი ტაშით ხვდება. ის ასე იწყებს: დიდი დღე არის დღეს, ბევრი გამარჯვების მონაწილე იყო საქართველოს დემოკრატია მუშათა კლასის მეთაურობით, მაგრამ დღევანდელი დღესასწაული, ეს უკანასკნელი გამარჯვება, გვიჩვენია ყველა წინა გამარჯვებებისა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი დემოკრატია გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მასზე ამყარებს საერთაშორისო დემოკრატია (ტაში). შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ რამოდენიმე კვირის შემდეგ დამფუძნებელი კრება დაასრულებს კონსტიტუციის განხილვას და ჩვენი სახელმწიფო დაიწყებს ნამდვილი უფლებრივი გზით სიარულს და განვითარებას. (კვლავ ტაში).

ვ. ჯუღელის სიტყვა.

შემდეგ ლაპარაკობს ვ. ჯუღელი, რომელსაც ტაშით ხვდება მიტინგი. ის სხვათაშორის აღნიშნავს: „დღეს ჩვენ აქ ვიხილეთ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები. ეე მგონია არსად, არც ერთ სხვა სახელმწიფოში თქვენ ვერ ნახავთ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელს. შემდეგ ამბობს: მემარჯვენე გაზეთები სწერენ, რომ იურიდიულად ცნობის შემდეგ მაინც უნდა მიატოვოს საქართველომ რევოლიუციონური გზით სიარული, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენ, პირიქით, ამის შემდეგ უფრო მტკიცედ, უფრო შეურყვლად ვივლით რევოლიუციონური გზით ჯუღელის ეს სიტყვები დაფარა ზღვა ხალხის ერთსულოვანმა და ძლიერმა ტაშმა. მე, ამბობს ორატორი, გუშინ ჩამოვედი ფრონტიდან და უნდა გითხრათ, რომ არავინ იცოდეს ჩვენი ფრონტი არ ყოფილა ისე მტკიცე, ისე მთლიანი" რაც ორატორ ... ახლა. (ტაში, ისმის „ვაუმარჯოს ფრონტს" და სხვა). ორატორი ასე ... სიტყვას: „თუ საჭიროებამ მოითხოვა მე დარწმუნებული ვარ, რომ ფრონტი და მასთან ერთად მთელი ჩვენი ხალხი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დასაცავად, გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

შემდეგ ილაპარაკა ლ. შენგელაიამ სოც. რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ი. მაჭავარიანმა და გვარდიელმა მიისურაძემ.

ნ. რამიშვილის სიტყვა.

შემდეგ ლაპარაკობს ნოე რამიშვილი, რომლის გამოსვლას ტაშით შეხვდნენ. ის აღნიშნავს საქართველოს დემოკრატიის სწორ ტაქტიკას და მის გამარჯვებას. „არასოდეს

საღვინე გასტრონომიული მაღაზია

„IMPERIAL"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს ორატორი, ქართველ ხალხს არ მოუწადინებია სადაო საკითხების იერიალიზაციდა, ხოლო, როდესაც მას თავს დაესხმებოდნენ, მაშინ იღებდა ხმალს და კიდევაც იმარჯვებდა. ის იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს დემოკრატია არ გადაუხვევს სწორ გზას, რომლითაც ის ჰიდიოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში, დასასრულ ორატორი მოუწოდებს მიტინგს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფრონტზე მყოფ გვარდიელთ და ჯარის კაცებს, რომელნიც თავიანთი სისხლით იცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ის მოუწოდებს ყველას დაეხმარონ მათ ოჯახებს. (ხანგრძლივი ტაში).

გრ. ლორთქიფანიძის სიტყვა.

შემდეგ ლაპარაკობს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე, რომლის გამოსვლას ცხარე ტაშით ეხვდა მიტინგი, ის სხვათაშორის ამბობს „ქართველმა ერმა ივით იცნო თავისი თავი ორი წლის წინათ და ეს ვერ წაშალა ვერავინ არმა ძალამ, 27 იანვრიდან საქართველო უფრო ძლიერია, ვინემ დღემდე იყო". მიტინგებზე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მრავალრიცხოვანი მიტინგი, თავმოყრილი საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის სადღესასწაულოდ, მიესალმება დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას და ულოცავს მაი. ბრწყინვალე გამარჯვებას.

მიტინგი აღიარებს, რომ ეს გამარჯვება მიეწერება საქართველოს დემოკრატიის თვითმოქმედებას და იმ ჭეშარიტ დემოკრატიულ და სოციალისტურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი ხელმძღვანელი წრეები.

მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის საზღვრებზე მდგომ ჯარს- და გვარდიას, რომელნიც იცავენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და საჯაროთ აცხადებს, რომ ამიერიდან დემოკრატია გაიორკეცებს თავდაცვის უნარს და არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლს უცხოელ თავდამსხმელთა მოსაგერებლად და თავისუფლების განსამტკიცებლად.

საგჭოთა რუსეთში.

„ახლა რაღა დავწვათ".

შენიშვნაში ამ სათაურით, „მოსკოვის პრავდას" მოყავს მართლათ სამწუხარო „სიძარაღე" წითელი პრესნის შაქრის ქარხნის მუშების მდგომარეობის შესახებ:

„თვითონ ქარხანა ჯერჯერობით საათბობი მასალით უზრუნველყოფილია, ბინებს კი — ყაზარმას, სადაც მუშები ცხოვრობენ, ორი დღე უკვე არ ათბობენ, ორი დღეა რაც არ ხარშავენ საჭმელს, არ აღუღებენ წყალს მუშებისათვის. ყაზარმებში კი მითავსებულია ყველა მუშები — 300 კაცი, ამ რიცხვში არ შედიან ბავშვები და მუშების ოჯახობის წევრები. მდგომარეობა მეტად მძიმე შეიქმნა, და ერთ საღამოს ქარხნის ხის ლობე დაამტვრიეს და დაიტაცეს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და იმ საღამოსვე დასწვეს. „ახლა რაღა დავწვათ"-ო, კითხულობს „პრავდას" კორესპოდენტი

— ლობე აღარ არის, მიწის პირიდან აღგავეს ხის პატარა დუქნები და საჯდომები. საშინელი სურათი გვეხატება მომავალში: შეშა არ არის, საწყობიდან მიღების იმედიც აღარ არის. დასაწვავი კი მეტი არაფერია. იაჩეიკა შეამდგომლობს, მაგრამ სანამ ის შუამდგომლობს მუშები ცივ ბინებში სხედან."

ტრანსპორტი.

პეტროგრადის „პრავდა" ეხება საბჭოთა რუსეთში ტრანსპორტის მეტად მძიმე მდგომარეობას, ბერვე ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა: გზები გაფუჭებულია ათეულ ვერსის მანძილზე, გაფუჭებულია აგრეთვე 3.000 ხიდი, 10.000 ტელეფონი და ტელეგრაფი. ენერგიული ზომების მიუღებლათ ტრანსპორტი სრულიად მოიშლებოდა 1920 წელს.

გზათა კომისარმა ემშჩანოვმა აუწყა ყრილობას, რომ გზების მდგომარეობა კატასტროფიულია. გზაფხულზე დამპალი შპალები და ნამქერი ტრაგედიას გვიმზადებენო.

„თუ ვერ ვიშოვნეთ 120.00 მუშა თოვლის ასაწმენდათ, რემონტის საქმე არ განხორციელდება".

პრემიალური ფონდი ქალალდზე და სინამდვილეში

საბჭოთა ორგანოების გამოანგარიშებით „დამკვრელი წარმოების" მუშებისათვის პრემიების მისაცემათ ($2^1/_2$ მილ. მუშა) საჭიროა: ქვილი 826125 ფ., თევზი 220 300 ფ., მარილი 110.150 ფ., შაქარი 55.075 ფ., კარაქი 55.075 ფ. და ჩაი 275.375 გირ. მაგრამ აქ ჩამოთვლილ პროდექტების დიდი ნაკლებობის გამო, საბჭოთა მთავრობამ დაარიგა მხოლოთ 400,000 ქვილი, 75·650 ფ. თევზი, 75.650 ფ. მარილი, 30.000 ფ. შაქარი. 10·000ფ კარაქი და 189.125 ფ. ჩაი.

ამ რიგათო განმარტავს ბოლშევიკური გაზეთი, მუშებისათვის პრემიების მიცემა მეტად განსაზღვრულ რაოდენობათ მოხდებაო.

სასურსათო კრიზისი.

სამარის, უფის, ყაზანის, გერმანულ კომუნის, პეტროვსკის, სარატოვის, ტამბოვის, ეკატერინობურგის, სიმბირსკის, პენზის და სტერლიტამაკის საგუბერნიო პურის მომმარაგებელ განყოფილებებს დაეგზავნა მოწერილობა ლენინის სახელით გააძლიერონ პურის მიწოდების საქმე, ვინაიდან სატრანსპორტო კრიზისის გამო, ამ ჟამად კავკასიურსათის გამოტანა არ ხერხდება. იმის შემდეგ როცა ძლიერი იქნება სათბობი მასალის კრიზისი, მიღებული იქნება ზომები სურსათის მისაწოდებლათ იმ გუბერნიებისათვის, საიდანაც ახლა გამოტანილი უნდა იქნეს ხორბალი.

ხმები ლენინის ავადმყოფობის შესახებ.

მოსკოვის რადიო უარყოფს ხმებს ლენინის ავადმყოფობის შესახებ ეს ხმები გამოწვეულია მოსკოვში ორ ცნობილ უცხოელ ექიმების ჩასვლით, რომლებმაც უნდა უექიმონ სამეფო საბჭოს წევრს კარპოვს.

საქართველოს იურიდიულათ ცნობის დღესასწაული ქ. ქუთაისში.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან.)

საქართველოს იურიდიულათ აღიარება ქ. ქუთაისმა ბრწყინვალეთ იდღესასწაულა. კვირის 6 თებერვალს დილიდანვე ქალაქი მოირთო ეროვნული დროშებით. დღის პირველ საათზე ქალთა და ვაჟების სასწავლებელთა მოწაფეებმა, ხეცა და სხვა დარგის მუშებმა ინტერნაციონალური და ეროვნული დროშებით თავი მოიყარეს ქალაქის პალში.

მიტინგი გახსნა პ. გოგიაშვილმა, აღნიშნა დამოუკიდებლობის დიადი მნიშვნელობა, მისი ისტორია და ს. სოც დემოკ. პარტიის ქუთაისის კომიტეტის სახელით დამსწრეთ მიულოცა ეს უდიდესი დღესასწაული, საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური გამარჯვება.

შემდეგ ილაპარაკეს: ქალაქის თვითმართველობის სახელით ექიმმა ნასარიძემ, სოც. დედერალისტთა სახელით გრ. ლალიძემ, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სახელით ბეს. ჯღენტმა, პროფ. კავშირთა საბჭოს — ი გეგეჭკორმა, ქუთაისის საოლქო გვარდიის სახელით კოწია კანდელაკმა, სტუდენტთა ორგანიზაციის — ბერათაშვილმა.

ყველა ორატორები უაღრესი სიხარულითა და აღფრთოვანებით აღნიშნავდენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ აღიარებას

მიტინგმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა: დამფუძნებელ კრებას:

ქ. ქუთაისის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი საქართველოს დამოუკიდებლობით აღფრთოვანებული მთელ ქართველ დემოკრატიასთან ერთად მიესალმება თავის უზენაეს ორგანოს დამფ კრებას და ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას.

როგორც უფლების ისე მოვალეობის ღრმა შეგნებით, დღეს კიდევ უფრო ვიდრე ოდესმე მზათ ვართ მტკიცე და შეურყეველის ენერგიით დაულალავათ ვიბრძოლოთ ნორმალურ რესპუბლიკის განმტკიცებისა ... აყვავებისათვის, ჭისი და საერთაშორისო დემოკრატიის საბოლოოდ მარჯვებისათვის.

გაუმარჯოს თავისუფალ რესპუბლიკას და მის უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას.

მთავრობის თავმჯდომარეს ქუთაისის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი დღეს თქვენ ერთად ღრმად განიცდის შვენ... და ლხენას საქართ. დამოუკ. ცნობის გამო

გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს საყვარელ... სასიქადულო შვილო, ჩვეულებრივ სიდინჯით და სიბრძნით გასწიო... და გასწიოთ წინ, წინ, წინ.

გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიას და მის ღირსეულ ბელადს ნ. ჟორდანიას".

დასასრულ მიტინგი დროშებით და მუსიკით დაიძრა ბალიდან, ... რინის ქუჩით მივიდა სომხის ... სიამდე, შემდეგ გადაუხვია ფრანგის ქუჩით ვორანცოვის ქუჩაზე და ... შალა ხუშათა სასახლესთან.

თეატრი და მუსიკა.

თეატრი „გროტესკი"

სამშაბათს, 8 დეკემბერს შემ... ის შენობაში თეატრ გროტესკმა ... მართა წარმოდგ. ავათმყოფ მუსიკ... ა. ოკსენგაუტის სასარგებლოთ. სა... გადოება საკმაოთ დაესწრო. დი... ვის წინადადებით მოაწყვეს ფულ... შეგროვება. სულ შეგროვდა ... 90 ათასი მანეთი. წარმოდგენიდ... ოკს. სასარგებლოთ გადაიდო 270.0... მან. პროფ. კაკშირი აღადმყოფს ... ზავნის სუხუმში.

საღამომ კარგათ ჩაიარა მუკ... რათ შესრულა დიმოვმა ვასილ... სკაიამ და მორეცკაიამ „ისინი, ... მელნიც", პიესა სტუდენტის ... ქუჩის ცხოვრებიდან.

ჩვეულებრივი აღფრთოვანებ... შეხვდა საზოგადოება ისკრას, ... გრიგორიევას და ს. ბარტენიევს

რედაქტორი კ. ქავთარაძე

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ყოველდღიური გაზ.
„ბათუმის ცხოვრებაზე"
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშამოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით
ხელ მოწერა მიიღება მარინეს ჰროსპექტზე საბაშვილის სახლში.

ელექტრო მბეჭდავი ტამბახ. ფ. ზმაევ[illegible]. მ. ხიდ[illegible]ის, ... №21 ბათუმი.